

**სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს ანგარიში
2012 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების და პროგრამების შესახებ**

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა 41 სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაცია. მათ შორის:
 - ✓ 26 საგამოცდო ლაბორატორია;
 - ✓ 3 დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი;
 - ✓ 7 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი;
 - ✓ 2 დაკალიბრების ლაბორატორია;
 - ✓ 1 მომსახურეობის სერტიფიკაციის ორგანო;
 - ✓ 2 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო.
- გეგმური კონტროლი გაიარა 95 აკრედიტებულმა პირმა, მათ შორის:
 - ✓ 61 საგამოცდო ლაბორატორია;
 - ✓ 4 დაკალიბრების ლაბორატორია;
 - ✓ 8 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო;
 - ✓ 13 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი;
 - ✓ 8 დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი;
 - ✓ 1 მომსახურეობის სერტიფიკაციის ორგანო;
- აკრედიტირებული პირების მიერ შემოტანილი იქნა 9 განაცხადი დამატებით სფეროში აკრედიტაციის მიღების მიზნით, მათ შორის:
 - ✓ 4 საგამოცდო ლაბორატორია;
 - ✓ 1 დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი;
 - ✓ 3 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი;
 - ✓ 1 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო.

შემუშავდა და გამოიცა აკრედიტაციის ცენტრის ახალი წესები და პროცედურები.

აკრედიტაციის ცენტრმა TWINNING-ის პროექტში ჩართული ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების, ასევე აკრედიტაციის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და საქართველოს კანონის „პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, თავი X, მუხლი 103, პუნქტი 8, შესაბამისად შეიმუშავა აკრედიტაციის ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც შეთანხმდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მიღებული რეკომენდაციების და წინადადებების გათვალისწინებით 2012 წლის 31 დეკემბერს ელექტორულად აიტვირთა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ელექტორული-გვერდზე. (გამოქვეყნების თარიღი 11.01.13)

მონაწილეობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების წარმოების მიზნით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.

საქართველოს მთავრობის #61 2012 წლის 21 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოს და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების წარმოების მიზნით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი“ რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებს აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი. მან მონაწილეობა მიღო ამ დროისათვის უკვე შემდგარ მოლაპარაკებების ოთხ რაუნდში - თბილისში (26-30 მარტი), ბრიუსელში (25-29 ივნისი), თბილისში 25-27 სექტემბერი და ბრიუსელში 27-29 ნოემბერი, რომლის დროსაც ევროკომისიასთან წარმატებით შეთანხმდა მომავალი ხელშეკრულების TBT ნაწილის ტექსტი.

თანამშრომლობა EA (European co-operation for accreditation)-სთან.

2009 წლის ნოემბერში აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად, ცენტრმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკრედიტაციის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაძლიერებლად, შედეგად 2011 წლის ნოემბერში, აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ხელი მოეწერა შეთანხმება ასოცირებულ წევრობაზე, რომლის ფარგლებშიც გრძელდება მუშაობა EA-ს ტექნიკურ კომიტეტებში და მონაწილეობა ყოველწლიურ გენერალური ასამბლეის ფარგლებში. მიმდინარე პერიოდში აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა TWINNING-ის პროექტის ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღეს EA-ს ლაბორატორიულ, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების მუშაობაში.

აკრედიტაციის ცენტრი მიზნად ისახავს, აკრედიტაციაში ევროპული და საერთაშორისო მოთხოვნების იმპლემენტაციის გზით გახდეს EA-ს სრულუფლებიანი წევრი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების წარმატებულ რეალიზაციას.

თანამშრომლობა აშშ-ს ნაციონალური სტანდარტების ინსტიტუტთან (ANSI)

აკრედიტაციის ცენტრსა და აშშ-ს ნაციონალური სტანდარტების ინსტიტუტს (ANSI) შორის 2011 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის“ თანახმად, 2012 წლის 20-30 ივნისს ამერიკის სტანდარტების ინსტიტუტმა განახორციელა ორი აკრედიტირებული კვების ლაბორატორიის შეფასება. მიღებული დადებითი შედეგიდან გამომდინარე ამერიკის ნაციონალური სტანდარტების ინსტიტუტის მიერ გაიცა აკრედიტაციის მოწმობა აღნიშნულ ორივე ლაბორატორიაზე. კერძოდ, აშშ-ს სტანდარტების ინსტიტუტის მოწმობა მიიღო შპს „ღვინის ლაბორატორია“-მ და შპს „მულტიტესტმა“. აღნიშნული აღიარება ხელს შეუწყობს აშშ-ში და საერთაშორისო მასშტაბით ქართული პროდუქციის ექსპორტისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირებას.

თანამშრომლობა TWINNING-ის პროექტის ფარგლებში.

2012 წელს TWINNING-ის პროექტის „Strengthening Accreditation Infrastructure according the Best Practice in The EU Member States“ ფარგლებში განხორციელდა ხელშეკრულების გეგმით გათვალისწინებული რიგი ღონისძიებები:

- ✓ ევროკავშირის ექსპერტის მიერ შეფასდა აკრედიტაციის ცენტრის ფინანსური მდგომარეობა და მომზადდა რეკომენდაციები ცენტრის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცების მიზნით;
- ✓ ევროკავშირის ექსპერტების მიერ გადაიხედა აკრედიტაციის ნორმატიული აქტები მათი საერთაშორისო EA, IALC, IAF მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით;
- ✓ აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის ჯგუფი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ლატვიის აკრედიტაციის ცენტრში LATAK-ში (ქ.რიგა, ლატვია), სადაც გაეცნო ხარისხის სისტემის დოკუმენტაციას, პერსონალის და მოწვეული ექსპერტების ტრენინგების სისტემას, ასევე, გაზიარებული იქნა გამოცდილება EA-ის მხრიდან LATAK-ის კოლეგიალური შეფასების საკითხებში (5-9 თებერვალი, 10-14 დეკემბერი);
- ✓ აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტის ჯგუფი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის სამშენებლო მასალების და ტესტირების ფედერალურ ინსტიტუტში (BAM), გერმანიის სამშენებლო მასალების ინსტიტუტში (DIB-German Notification Body for Construction Products and Types of Construction in the Field of structural engineering and Building Law), რომელიც ასევე წარმოადგენს ნოტიფიკაციის ორგანოს და გერმანიის აკრედიტაციის ცენტრში (DAKKS). აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები გაეცნენ ხარისხის სისტემის დოკუმენტაციას, სტრუქტურას. ევროპის ჰარმონიზებული დირექტივების სფეროში შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ნოტიფიკაციის საკანონმდებლო პრინციპებს. ასევე, გაზიარებული იქნა გამოცდილება EA-ს მხრიდან DAKKS-ის კოლეგიალური შეფასების საკითხებში (4-8 ივნისი);
- ✓ ჩატარდა ტრენინგი/სემინარი „ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივები“-ს შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და სხვადასხვა დაინტერესებული უწყების წარმომადგენლებისათვის (13-15 მარტი);
- ✓ ჩატარდა ტრენინგი საერთაშორისო სტანდარტის სსტ ისო/იეკ 17025 „საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი“ საკითხებზე, გაზომვათა მიკვლევადობაზე ფოკუსით. (26-28 მარტი);
- ✓ ჩატარდა ტრენინგი საერთაშორისო სტანდარტი სსტ ისო 15189 – „ძირითადი მოთხოვნები საგამოცდო სამედიცინო ლაბორატორიების აკრედიტაციისათვის“ მიხედვით (29-30 მარტი);
- ✓ უცხოელი ექსპერტების მიერ გადაიხედა აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის სისტემის პროცედურები და მზადდება რეკომენდაციები მათი შემდგომში საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით (26-30 თებერვალი);

- ✓ ჩატარდა სემინარები თემაზე წნევასთან დაკავშირებული დირექტივები - „წნევის ქვეშე მყოფი მარტივი ჭურჭლების დირექტივა (SPVD)” და წნევის ქვეშე მომუშავე მოწყობილობების (PED)” დირექტივებთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (6 აპრილი);
- ✓ ჩატარდა სემინარები თემაზე „სარეკრეაციო მცურავი საშუალებების (RCD) დირექტივის” თაობაზე აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (17-18 მაისი);
- ✓ ჩატარდა სემინარები თემაზე „ახალი ლიფტების ბაზარზე განთავსება და მათი უსაფრთხოება” აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (25-26 აპრილი);
- ✓ ჩატარდა სემინარები თემაზე „ტრანსპორტირებადი წნევის ქვეშე მყოფი მოწყობილობების (TPED) დირექტივა” აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის(14-16 მაისი);
- ✓ ჩატარდა სემინარი/ტრენინგი „საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17065-ის და ISO/IEC guide 65-ის მიხედვით” აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (10-11 მაისი);
- ✓ ჩატარდა სემინარი თემაზე - „აკრედიტაციის როლი პროდუქტისა და მომსახურების თავისუფალი მიმოქცევის უზრუნველყოფაში”, ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით აკრედიტაციით დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით (17 მაისი);
- ✓ ევროპელი ექსპერტის მიერ განხორციელდა აკრედიტაციის ცენტრის IT ინფრასტრუქტურის / სისტემის, მონაცემთა ბაზის გეგმის მონახაზის შემუშავებისათვის მონაცემების შეკრება და პროექტის განხილვა აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტთან;
- ✓ ჩატარდა სემინარი/ტრენინგი „საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17024-ის ზოგადი მოთხოვნები სერტიფიცირების ორგანოებისათვის” აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (4-5 ივლისი);
- ✓ ჩატარდა სემინარი თემაზე - „აკრედიტაციის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში”, ახალი ქართული კანონმდებლობა და უახლესი ტენდენციები აკრედიტაციის სფეროში“ (13 ივლისი);
- ✓ ჩატარდა სემინარი/ტრენინგი „გამოყენებული დაკალიბრების პროცედურები და განუსაზღვრელობის გამოთვლა აკრედიტაციის პროცესში“ აკრედიტაციის ცენტრის

შემფასებლებისათვის, მოწვეული ტექნიკური ექსპერტებისათვის და აკრედიტაციაში დაინტერესებული ლაბორატორიების წარმომადგენლებისათვის (12-14 სექტემბერი);

- ✓ სემინარი თემაზე საბაგრო მოწყობილობების ბაზარზე განთავსება და მათი უსაფრთხოება (4-5 ოქტომბერი);
- ✓ სემინარი თემაზე “ახალი მიდგომა და ნოტიფიცირებული ორგანოების აკრედიტაცია. ერთიანი ბაზრის ხელშეწყობის ევროპული გზა” (31 ოქტომბერი);
- ✓ სემინარი თემაზე პროფესიონალურ ტესტირებაში (PT) მონაწილეობის უპირატესობები და მისი მნიშვნელობა და აკრედიტაციის მოთხოვნები (1-2 ნოემბერი);
- ✓ ტრენინგი თემაზე „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები იმ ორგანოების მიმართ, რომლებიც ახდენენ მენეჯმენტის სისტემების აუდიტსა და სერტიფიცირებას“ (7-8 ნოემბერი);
- ✓ ტრენინგი თემაზე გაზომვების განუსაზღვრელობების გამოთვლა გამოცდის მექანიკური მეთოდებისთვის (20-22 ნოემბერი).

როგორც შედეგი, 2012 წელს განხორციელდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება და რეალიზებული იქნა მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საკითხები.